

პროდუქტის მოხმარების წესები და პირობები

„ალტერა“-ს სერვისის გამოყენებით, თქვენ თანხმობას აცხადებთ, რომ შეასრულებთ წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების წესებსა და პირობებს“.

გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ შემდეგი „პროდუქტის მოხმარების წესები და პირობები“ „ალტერა“-ს სერვისის გამოყენებამდე. თუ არ ეთანხმებით პროდუქტის მოხმარების წესებსა და პირობებს, ვერ ისარგებლებთ „ალტერა“-ს სერვისით. პროდუქტის მოხმარების პირობები ვრცელდება „ალტერა“-ს ნებისმიერი სერვისის გამოყენებაზე. „ალტერა“-ს სერვისის უფრო დეტალური აღწერა და ინფორმაცია სისტემის მოთხოვნების შესახებ ხელმისაწვდომია finance.altera.ge-ზე.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ვებ-გვერდი - ინტერნეტ მისამართი www.finance.altera.ge, რომელიც მოიცავს, პროგრამულ უზრუნველყოფას, კოდებს და გრაფიკულ მონაცემებს;

მხარე - „ალტერა“ ან კლიენტი ცალ-ცალკე წოდებულნი;

მხარეები - „ალტერა“ და კლიენტი ერთობლივად წოდებულნი

„ალტერა“ - შპს „ალტერა (ს/კ 405467971) საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ., N 3, კორპ. 20, ბ. 1

სტანდარტული პირობები - წინამდებარე ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული „პროდუქტის მოხმარების წესები და პირობები“;

კლიენტი - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ეთანხმება წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების სტანდარტულ წესებსა და პირობებს“ ვებ-გვერდზე რეგისტრაციის ან/და დოკუმენტის დადასტურების გზით;

ფინანსური ანგარიშგება – საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური მდგომარეობა.

პროდუქტი - „ალტერა“-ს ვებ-გვერდზე კლიენტის მიერ ფინანსური ანგარიშგების გენერირების შესაძლებლობა (ტოკენი).

პაკეტი - კლიენტის მიერ „ალტერა“-ს ვებ-გვერდზე სხვადასხვა პროდუქტის ან რაოდენობის შეძენის შეთავაზება.

ღირებულება - პაკეტის ან პროდუქტის საფასური, რომელიც მას აქვს მინიჭებული დაგენერირებული ფინანსური ანგარიშგების სანაცვლოდ.

შეცდომები - ანგარიშგების გენერირებამდე კლიენტს მიეცემა რამდენიმე შესაძლებლობა შეაფასოს ატვირთული ბუღალტრული გატარებები. პორტალი დააფიქსირებს მარტივ ლოგიკურ სავარაუდო შეცდომებს.

გენერირება – ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილების შექმნა, ფორმირება.

ავტომატიზაცია – ინფორმაციის მიღების, გადაცემის, გარდაქმნის პროცესში მონაწილეობისგან ადამიანური რესურსის მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება,

ტექნიკური საშუალებების, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და მართვის სისტემების გამოყენებით.

პორტალი – www.finance.altera.ge-ს ფინანსური ანგარიშგების გენერირების მოდულის გვერდი, საიდანაც მომხმარებელს შეუძლია ფინანსური ანგარიშგების შექმნა/ფორმირება.

ფასს – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტი

მუხლი 2. „ალტერა“-ს სერვისის აღწერა

2.1 პროდუქტის მოხმარების ღირებულების სანაცვლოდ „ალტერა“ კლიენტს აძლევს შესაძლებლობას პორტალზე ატვირთოს ბუღალტრული ინფორმაცია და ავტომატურად დააგენერიროს ფინანსური ანგარიშგება.

2.2 კლიენტის მიერ შეძენილი პაკეტის/პროდუქტის შესაბამისად, „ალტერა“ კლიენტს მიანიჭებს ანგარიშგებების გენერირების შესაძლებლობას (ტოკენს).

2.3 გადახდის ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდგომ, მომხმარებელს საკუთარ გვერდზე გამოუჩნდება შეძენილი პროდუქტების შესაბამისი გამოსაყენებელი „ტოკენების“ რაოდენობა, ასევე, მიიღებს ელ-ფოსტის საშუალებით ინფორმაციას შეძენილი პროდუქტის შესახებ: პროდუქტების რაოდენობა, თითოეულის ფასი, ჯამურად გადახდილ თანხა, გადახდის თარიღი.

2.4 მომხმარებლის მიერ ასატვირთი ბუღალტრული გატარებები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ფასს-ის სტანდარტებს.

ბუღალტრული გატარებების ატვირთვის შემდგომ შეფასებისას დაფიქსირებული სავარაუდო შეცდომები არ იქნება სრულყოფილი და არ გამორიცხავს სხვა შეცდომების არსებობას.

შეფასებისას თუ დაფიქსირდა უტოლობა აქტივებსა და ვალდებულებებს+კაპიტალს შორის, ჩაითვლება ხარვეზად, მოგეცემათ რეკომენდაცია გაასწოროთ ბუღალტრული გატარებები და შემდგომ ცადოთ ანგარიშგების გენერირება.

შეცდომების გამოსწორება და გასწორებული ბუღალტრული გატარებების განმეორებით ატვირთვა კლიენტის პრეროგატივაა.

ანგარიშგების გენერირებისას თუ დაფიქსირდა უტოლობა ფინანსური მდგომარეობის გრაფა „გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)“-სა და საქმიანობის შედეგების გრაფა „გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი“-ს შორის, პროგრამა ავტომატურად დააკორექტირებს „სხვა ხარჯები“-ს გრაფას დისბალანსის გასასწორებლად.

2.5 ფინანსური ანგარიშგების გენერირების ფარგლებში, „ალტერა“ აძლევს საშუალებას კლიენტს დააგენერიროს ფინანსურ ანგარიშგება, რომლის განთავსების ვადები, ღირებულება ან/და სხვა პირობები „ალტერა“-ს მიერ ცალმხრივად დადგენილი ან/და განსაზღვრულია მხარეთა შეთანხმებით.

2.6 ავტომატურად გენერირებული ფინანსური ანგარიშგების reportal.ge-ზე წარდგენა/შევსება არ ხდება „ალტერა“-ს მიერ და ის სრულად კლიენტის პრეროგატივაა.

2.7 მას შემდეგ რაც კლიენტი გახარჯავს ბოლო ტოკენს/პროდუქტს, „ალტერა“ შეინახავს კლიენტის მიერ გენერირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში, ამის შემდეგ „ალტერა“ იტოვებთ უფლებას წაშალოს ანგარიში.

2.8 კლიენტის მიერ ატვირთულ ბუღალტრულ ჩანაწერებს „ალტერა“ არ ინახავს და არ აქვს დაშვება მათ შინაარსთან.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

„ალტერა“ უფლებამოსილია:

3.1 ცალმხრივად დაადგინოს დაკვეთის განხორციელების წესი.

3.3 საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად შეწყვიტოს პროდუქტის მიწოდება, თუ კლიენტი:

3.3.1 არ მიაწოდებს „ალტერა“-ს კომპანიის შესახებ უტყუარ ინფორმაციას და წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობების“ შესრულების მიზნებისთვის, ამომწურავ ინფორმაციას; მათ შორის და არა მხოლოდ, საკონტაქტო მონაცემებს, ან/და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტაციას;

3.3.2 პროდუქტის მოხმარების ფარგლებში მოქმედებს არამართლზომიერად ან/და საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ.

3.3.4 დაარღვევს წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების წესებითა და პირობებით“ გათვალისწინებული პროდუქტის საფასურის გადახდის წესს.

3.3.5 „ალტერა“-ს ვებ-გვერდზე წვდომას გადასცემს ნებისმიერ მესამე პირს.

3.3.6 მოქმედებს წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების წესებითა და პირობებით“ დადგენილი დებულებების საწინააღმდეგოდ ან/და თაღლითურად;

„ალტერა“ ვალდებულია:

3.4 კლიენტის მიერ პროდუქტის შეძენის შემდეგ განახორციელოს წინამდებარე წესებისა და პირობების მე-2 მუხლით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება.

3.5 უზრუნველყოს კლიენტის მიერ დაგენერირებული ფინანსური ანგარიშგების უსაფრთხოება, დაიცვას საკუთარი მონაცემთა ბაზები ნებისმიერი კომპიუტერული ვირუსებისა და დამაზიანელი პროგრამებისგან, რათა არ მოხდეს მონაცემთა არამართლზომიერი გადინება.

კლიენტი უფლებამოსილია:

3.6 მოსთხოვოს „ალტერა“-ს წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების წესებითა და პირობებით“ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულება;

კლიენტი ვალდებულია:

3.7 დაკვეთისას „ალტერა“-ს წარუდგინოს სრული, სწორი და ნამდვილი პერსონალური ინფორმაცია;

3.8 პაკეტის/პროდუქტის შეძენისას გადაიხადოს „ალტერა“-ს მიერ დაწესებული საზღაური „ალტერა“-ს ვებ-გვერდზე მითითებული წესისა და პირობების შესაბამისად.

3.9 დაიცვას წინამდებარე პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობებით გათვალისწინებული ყველა დებულება.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

4.1 მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ:

4.1.1 წარმოადგენენ უფლებათაუნარიან პირებს, რომლებსაც პროდუქტის მოხმარებისა და მისი გაცემის მიზნით მოპოვებული აქვთ ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და მინდობილობა;

4.1.2 გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება, იკისრონ წინამდებარე პროდუქტის მოხმარების წესებითა და პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

4.1.3 მათ მიერ წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობების“ დათანხმება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, საერთაშორისო ნორმებთან, მხარის გადაწყვეტილებებთან, სადამფუძნებლო ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან.

4.1.4 კლიენტის წარმოდგენილი პერსონალური ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო მინდობილობა და სხვა სახის დოკუმენტაცია წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

4.1.5 წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების წესები და პირობები“ ელექტრონულად დადასტურებულ იქნა კლიენტის მიერ და წარმოადგენს მისთვის იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს;

4.2 კლიენტი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ სრულად არის პასუხისმგებელი „ალტერა“-სთვის მიწოდებულ პერსონალურ ინფორმაციაზე, პორტალზე ატვირთული ბრუნვითი უწყისის სისწორესა და სისრულეზე, შედეგად მის მიერ დაგენერირებული ფინანსური ანგარიშგებით გამოწვეულ ნებისმიერი სახის ზიანზე.

მუხლი 5. მხარეთა ინტერესთა პატივისცემის შესახებ

5.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ ერთმანეთის საქმიან ინტერესებს.

მუხლი 6. რეგისტრაცია და დაკვეთა

6.1 პროდუქტის მისაღებად საჭიროა კლიენტის მიერ „ალტერა“-ს ვებ-გვერდზე რეგისტრაცია და წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობების“ მე-2 მუხლით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება.

6.2 რეგისტრაციის მოთხოვნებსა და პირობებს ცალმხრივად ადგენს „ალტერა“.

მუხლი 7. პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

7.1 პროდუქტის მოხმარების წესები და პირობები ამოქმადდება კლიენტის მხრიდან წინამდებარე პროდუქტის მოხმარების წესებსა და პირობებზე დათანხმების (თანხმობის ველის მონიშვნა) მომენტიდან.

7.2 წინამდებარე პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობების მოქმედება გრძელდება მხარეთა მიერ ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1 პროდუქტის ღირებულება განისაზღვრება „ალტერა“-ს მიერ („ალტერა“-ს ვებ-გვერდზე მითითებული პროდუქტის ღირებულებების მიხედვით);

8.2 პროდუქტის ღირებულების გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, პორტალზე რეგისტრაციის შემდგომ, ელექტრონული გადახდის საშუალებით;

მუხლი 9. პროდუქტის უწყვეტობა და დაცულობა

9.1 „ალტერა“ არ გასცემს გარანტიას, რომ:

9.2 წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების წესებითა და პირობებით“ გათვალისწინებული პროდუქტი იქნება ხელმისაწვდომი და უწყვეტი ნებისმიერ დროს;

9.3 ვებგვერდ(ებ)ი დაცული იქნება შეცდომების, ვირუსების ან/და სხვა დამაზიანებელი აპლიკაციებისგან.

მუხლი 10. ინტელექტუალური საკუთრება

10.1 პროდუქტი და ვებ-გვერდებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრება ეკუთვნის „ალტერა“-ს.

10.2 კლიენტს არ აქვს უფლება განახორციელოს რეპროდუქცია, გადაკეთება, გადაცემა, ალტერას ლოგოს, მისი შრიფტის ან ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის გავრცელება/უნებართვო გამოყენება, ან/და ნებისმიერი მასალის სხვაგვარად კომერციულად დამუშავება, რომელიც არის ინტელექტუალური საკუთრების საგანი.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს აუნაზღაურონ „პროდუქტის მიწოდების წესებისა და პირობების“ შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, გარდა წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობებით“ გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი დებულებებისა.

11.2 თუ კლიენტი „ალტერას“ პორტალზე ან ვებ-გვერდზე წვდომას გადასცემს ნებისმიერ მესამე პირს, დაეკისრება ჯარიმა 5,000.00 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 12. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, თუ მათი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია მათთვის დაუძლეველი ძალის („ფორს მაჟორი“) მოქმედების შედეგად.

12.2 წინამდებარე „პროდუქტის მიწოდების წესებისა და პირობების“ მიზნებისთვის დაუძლეველ ძალას წარმოადგენს მიწისძვრა, სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები, ეპიდემია, მასობრივი კიბერშეტევა;

12.3 მხარე ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები თუ „ფორს მაჟორი“ არ ახდენს გავლენას მათ სრულ და ჯეროვან შესრულებაზე.

12.4 მხარეები თანხმდებიან, რომ „ალტერა“ თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, თუ კლიენტი არ განახორციელებს ან დაარღვევს წინამდებარე

„პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობებით“ გათვალისწინებულ ნებისმიერი სახის ვალდებულებას.

12.5 „ალტერა“-ს მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, „ალტერა“-ს პასუხისმგებლობა არ შეიძლება აღემატებოდეს კლიენტის მიერ კონკრეტულ პროდუქტში გადახდილ თანხას.

12.6 „ალტერა“ არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანზე, რომელიც შესაძლოა გამომდინარეობდეს მიუღებელი სარგებლიდან ან/და შემოსავლიდან.

12.7 კლიენტის მიერ „ალტერა“-ს ვებ გვერდზე რეგისტრაციის არ გავლამ შესაძლოა გამოიწვიოს პროდუქტის ან მისი ნაწილის მიღების შეუძლებლობა, რა შემთხვევაშიც „ალტერა“ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 13. კლიენტის ინფორმაცია, კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები

13.1 „კლიენტის“ მიერ თანხმობის დილაკის მონიშვნა ნიშნავს, რომ იგი თანხმობას აცხადებს, რომ „ალტერა“ უფლებამოსილია შეინახოს კლიენტის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა წინამდებარე პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობების მოქმედების ფარგლებში და „ალტერა“ დაამუშავებს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.

13.2 თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას მკაცრად დაიცვას მეორე მხარისაგან მიღებული ფინანსური, კომერციული და სხვა სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ასეთი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისთვის შეიძლება მხოლოდ მეორე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ამ მუხლის სხვა პუნქტებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

13.3 ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მხარეების კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება ან/და გადაცემა შესაძლებელია საზედამხედველო ორგანოზე, გარე აუდიტორული და საგადასახდო აუდიტის მიზნებისთვის დაქირავებულ კომპანიებზე, იურიდიულ კომპანიებზე, რომლებიც შესაბამისი სერვისის ფარგლებში უფლებამოსილნი იქნებიან მიიღონ, გაეცნონ და შეინახონ სერვისის განხორციელების მიზნით საჭირო ინფორმაცია.

მუხლი 14 დავების გადაწყვეტის წესი

14.1 წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობების“ საფუძველზე მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავის გადაწყვეტა წარმოებს მოლაპარაკების გზით, ურთიერთშეთანხმების მიღწევის მიზნით.

14.2. ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს თბილისის საქალაქო სასამართლო.

მუხლი 15. მხარეთა კომუნიკაცია

15.1 კომუნიკაცია მხარეთა შორის ხორციელდება წერილობითი (მათ შორის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით) ფორმით.

მუხლი 16. პირობების ცვლილებები

16.1 „ალტერა“ უფლებამოსილია ერთპიროვნულად, ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს ან/და დაამატოს პროდუქტის მოხმარების სტანდარტული პირობები, მისი ნებისმიერი დანართი, მათ შორის ვებ-გვერდზე განთავსებული პროდუქტი ან/და ღირებულება, რეგისტრაციის წესის პირობები.

16.2. ზემოაღნიშნული ცვლილების ან/და დამატების შესახებ ინფორმაცია კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახდება ცვლილებების ან/და დამატებების შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებით.

16.3 „ალტერა“-მ შესაძლოა კლიენტს გაუგზავნოს ცვლილებები მისთვის ცნობილ ელექტრონულ მისამართზე.

16.4 ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაშია ვებ-გვერდზე „ალტერა“-ს მიერ მისი განთავსებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 17 დასკვნითი დებულებები

17.1 კლიენტი ადასტურებენ, რომ „პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობების“ დადასტურებისას ის მოქმედებს გონივრული განსჯის შედეგად, წინასწარ გაეცნო წესებსა და პირობებს, სრულად ესმით პირობების შინაარსი და ისინი სათანადოდ იქნა შესწავლილი მის მიერ.

17.2 თითოეული მხარე (ა) უფლებამოსილია ისარგებლოს „პროდუქტის მოხმარების წესებითა და პირობებით“ განსაზღვრული უფლებ(ებ)ით და (ბ) ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ი.

17.3 „პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობების“ რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის კანონმდებლობის საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ბათილი/ძალადაკარგული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის, ქვეპუნქტ(ებ)ის ნაცვლად მოქმედებს ის მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი, რომლ(ებ)ითაც ადვილად მიიღწევა პროდუქტის მოხმარების მიზანი.

17.4 ერთ-ერთი მხარის მიერ „პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობების“ ან/და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარის მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

17.5 წინამდებარე „პროდუქტის მოხმარების წესები და პირობები“ შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ან/და წერილობითი სახით.